



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზედგინიძე ივანე ალექსანდრეს ძე

ზედგინიძე ივანე (ვანო) ალექსანდრეს ძე (დ. 31. VII. 1929, სოფ. კოთელია, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), აგრონომი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997). 1954 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი. 1954-56 მუშაობდა საქართვე. მემინდვრეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1958-60 – საქართვე. სას.-სამ. ინ-ტში; 1962-79 იყო საქართვე. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბიოფიზიკის განყ-ბის სპეც. ლაბორატორიის გამგე, 1979-82 – საქართვე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სას.-სამ. რადიოლოგიის კვლევითი ლაბორ. რადიოგამძლეობის განყ-ბის გამგე. 1983-98 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვე. აგრ. უნ-ტში გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე. 1998-2006 იყო ამავე ინ-ტის მემცენარეობის კათედრის გამგე, 2006-10 – აგროტექნოლოგიის დეპარტამენტის კონსულტანტი. 2011-იდან მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სას.-სამ. კულტურების ჯიშთა გამოცდის სამსახურში. ზ-ის კვლევის მიზანია მაიონიზებული გამოსხივების გავლენის დადგენა სტრატეგიული კულტურების (ხორბალი, კარტოფილი) სამეურნეო-ბიოლ. თვისებებზე, დაავადებათა მიმართ გამძლეობასა და მათი გამომწვევების პათოგენობაზე. ზ-ის ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად განხორციელდა უნიკალური ექსპერიმენტი – მიწისზედა ბირთვული აფეთქების მოდელირება, რის შედეგადაც ზ-მ დაადგინა მცენარის ცალკეული ორგანოების რადიონუკლიდებით დანაგვიანების დოზები და მათი ბიოლ. ეფექტი, გამოავლინა რადიაციისადმი შედარებით გამძლე ხორბლის სახეობები და ჯიშები, შეისწავლა რადიაციის სხვადასხვა ფონზე მასპინძელ მცენარესა და მის პათოგენს შორის ურთიერთგავლენის კანონზომიერება, ასევე პარაზიტის ქცევები, დაამუშავა შესაბამისი ინსტრუქციები. ზ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თბზ.: მემცენარეობა თესლმცოდნეობის საფუძვლებით, თბ., 2009.
